წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №16

2020 წლის 4 სექტემბერი

წალენჯიხა

„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიასთან (აგიტაციასთან) დაკავშირებით ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების თაობაზე“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 23 აგვისტოს N27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიასთან (აგიტაციასთან) დაკავშირებით ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების თაობაზე“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 23 აგვისტოს N27 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge 25/08/2017წ, სარეგ.კოდი 010250050.35.104.016322) და ამ დადგენილების პირველი და მეორე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ **მუხლი 1**

აიკრძალოს სააგიტაციო მასალის განთავსება/გაკვრა საკულტო ნაგებობებზე, კულტურული მემკვიდრეობის შენობა-ნაგებობებზე, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მუნიციპალიტეტის ორგანოების, სასამართლოების, პროკურატურის, სამხედრო შენაერთების, პოლიციის, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და დაზვერვის სამსახურების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დანაყოფების შენობების ინტერიერებსა და ექსტერიერებში, აგრეთვე საგზაო ნიშნებზე.

მუხლი 2

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო პლაკატების გასაკრავად განთავსდეს სპეციალური სტენდები შემდეგ ადგილებში:

ა) № 68.01 ქ.წალენჯიხის საარჩევნო უბანში - ქ.წალენჯიხა, №1 საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორია; (ქ.წალენჯიხა, სალიას ქუჩა №1);

ბ) №68.02 ქ.წალენჯიხის საარჩევნო უბანში - ქვედა მაზანდარას N4 საბავშვო ბაღის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე (ქ.წალენჯიხა, წმინდა ნინოს ქუჩა N68);

გ) №68.03 ქ. წალენჯიხის საარჩევნო უბანში - ქ.წალენჯიხის №2 საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორია; (ქ.წალენჯიხა, გამსახურდიას ქუჩა №1);

დ) №68.04 ქ.წალენჯიხის საარჩევნო უბანში - წალენჯიხის №5 საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორია (ქ.წალენჯიხა, ზღვაიას დასახლება);

ე) №68.05 ქ.ჯვარის საარჩევნო უბანში - ქ.ჯვარის №2 საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე (ქ.ჯვარი, ანდრია პირველწოდებულის ქუჩა);

ვ) №68.06 ქ. ჯვარის საარჩევნო უბანში -ქ.ჯვარი №3 საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორია (ქ.ჯვარი, სოხუმის ქუჩა №2);

ზ) №68.07 ქ. ჯვარის საარჩევნო უბანში - ქ.ჯვარი, №1 საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორია (ქ.ჯვარი, ქანთარიას ქუჩა №6);

თ) №68.08 ქ.ჯვარის საარჩევნო უბანში -ქ.ჯვარის N4 საბავშვო ბაღი „ცხუმი“-ს მიმდებარე ტერიტორია (ქ.ჯვარი);

ი) №68.09 ეწერის საარჩევნო უბანში - ეწერის საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორია (სოფ.ეწერი);

კ) №68.10 ლიის საარჩევნო უბანში - ლიის №1 საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე (ლიის ადმინისტრაციული ერთეული, გ.ჭანტურიას ქუჩა №1);

ლ) №68.11 ლიის საარჩევნო უბანში - ლიის №2 საბაზო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე (ლიის ადმინისტრაციული ერთეული, სოფელი პალური);

მ) №68.12 მედანის საარჩევნო უბანში - მედანის №1 საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე (მედანის ადმინისტრაციული ერთეული);

ნ) №68.13 მიქავას საარჩევნო უბანში - მიქავას საბავშვო ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე (მიქავას ადმინისტრაციული ერთეული);

ო) №68.14 მუჟავას საარჩევნო უბანში - მუჟავას საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე (მუჟავას ადმინისტრაციული ერთეული);

პ) №68.15 ნაკიფუს საარჩევნო უბანში - ნაკიფუს კულტურის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე (ნაკიფუს ადმინისტრაციული ერთეული);

ჟ) №68.16 ობუჯის საარჩევნო უბანში - ობუჯის №1 საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე (ობუჯის ადმინისტრაციული ერთეული);

რ) №68.17 საჩინოს საარჩევნო უბანში - საჩინოს ყოფილი ამბულატორიის მიმდებარე ტერიტორიაზე (საჩინოს ადმინისტრაციული ერთეული, სოფელი კუხეში);

ს) №68.18 ფახულანის საარჩევნო უბანში - ფახულანის №1 საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე (ფახულანის ადმინისტრაციული ერთეული);

ტ) №68.19 ფახულანის საარჩევნო უბანში - ფახულანის №2 საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე (ფახულანის ადმინისტრაციული ერთეული, სოფელი წყოუში);

უ) №68.20 ჩქვალერის საარჩევნო უბანში - ჩქვალერის კულტურის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე (ჩქვალერის ადმინისტრაციული ერთეული);

ფ) №68.21 ჭალეს საარჩევნო უბანში - ჭალეს №1 საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე (ჭალეს ადმინისტრაციული ერთეული);

ქ) №68.22 ჭალეს საარჩევნო უბანში - ჭალეს №2 საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე (ჭალეს ადმინისტრაციული ერთეული);

ღ) №68.23 ჯგალის საარჩევნო უბანში - ჯგალის №1 საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე (ჯგალის ადმინისტრაციული ერთეული);

ყ) №68.24 ქ.წალენჯიხის საარჩევნო უბანში - №3 საბავშვო ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე (ქ.წალენჯიხა, ქიაჩელის ქ.);

შ) №68.25 ქ.წალენჯიხის საარჩევნო უბანში - ქ.წალენჯიხის №7 საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე (ქ.წალენჯიხა, შანავას ქუჩა №10);

ჩ) №68.26 ქ.ჯვარის საარჩევნო უბანში - ქ. ჯვარის N5 საბავშვო ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე (ქ.ჯვარი, ოჭანეს უბანი);

ც) №68.27 ჯგალის საარჩევნო უბანში - ჯგალის საბავშვო ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე (ჯგალის ადმინისტრაციული ერთეული);

ძ) №68.28 საჩინოს საარჩევნო უბანში - საჩინოს საბავშვო ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე (საჩინოს ადმინისტრაციული ერთეული).“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დარეჯან დადიანი წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი **დარეჯან დადიანი**